



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010191683420218

31 / აგვისტო / 2018 წ.
851/ს

**2018 წლის 29 აგვისტოს N251 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02) -
სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს
მიერ განხორციელებული სანიტარული ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული
რესურსის (ფიჭვი III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) -სულ 90.684 - მ3)
შედეგების გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის #50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სანიტარული ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიწვოვანი 90.684 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N251) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის მოადგილის 2018 წლის 22 აგვისტოს N812/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 29 აგვისტოს N17081/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩატარებული N251 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01 და N02 - ფიჭვის ჯიშის III და IV ხარისხის მერქნული რესურსი - 90.684 მ³) შედეგებით, ლოტი N01 და N02 გამოვლინდა გამარჯვებული პირი:

1. აუქციონი N251 - ლოტი N01- ი/მ თენგიზ შენგელია (19001034198) - 4.88 მ³ (III ფიჭვი).
2. აუქციონი N251 - ლოტი N02- ი/მ თენგიზ შენგელია (19001034198) - 85.804 მ³ (IV ფიჭვი).

2. მიენიჭოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსს გამარჯვებულის მიერ კანონმდებლობით და აუქციონის პირობებით დადგენილ ვადაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება და დაევალოს, აუქციონის პირობების შესრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებული პირისათვის შესაბამისი მერქნული რესურსის გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, თანახმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

